რა უნდა იცოდეს ჯანდაცვის მუშაკმა ტუბერკულოზზე საეჭვო სიმპტომების მქონე პაციენტების მომსახურების დროს

- ტუბერკულოზისთვის დამახასიათებელი სიმპტომების მქონე ყველა პაციენტს ჩაუტარეთ რუტინული სკრინინგი ტუბერკულოზზე
- განაცალკევეთ ხველის სიმპტომის მქონე ყველა პაციენტი ტბ დიაგნოსტიკის გატარებამდე
- სამედიცინო ეთიკის დაცვით მიაწოდეთ პაციენტს სრულყოფილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ არის აუცილებელი გატარდეს მის მიმართ ტრიაჟის ღონისძიებები
- პაციენტები, რომელთა ტუბერკულოზის დიაგნოზი ცნობილია ან არსებობს მასზე ეჭვი, მოათავსეთ ოთახში ან გარე სივრცეში, სხვა პაციენტებისგან იზოლირებულად
- იზოლაციის ზომები განსაკუთრებით მკაცრად დაიცავით აივ–ინფექცია/შიდსის მქონე პაციენტებისა და სხვა იმუნოკომპრომენტირებული პირების მიმართ
- მიაწოდეთ ინფორმაცია პაციენტს და მის მნახველებს იზოლირების აუცილებლობის შესახებ;

ფილტვის ტუბერკულოზისთვის დამახასიათებელი ზოგადი კლინიკური ნიშნები



- 2 კვირაზე მეტი ხანრძლივობის ხველა
- ტემპერატურის მომატება
- სისხლიანი ნახველი
- წონაში კლება
- საერთო სისუსტე
- ღამით ოფლიანობა
- ტკივილი გულმკერდის არეში
- უმადობა

ხველის ეტიკეტი

- ✔ პაციენტებს და ვიზიტორებს მიაწოდეთ ინსტრუქცია, რომ პირი შეაქციონ სხვა პირებს ხველისა და ცემინების დროს, პირისა და ცხვირის დასაფარად გამოიყენონ რაიმე სახის ქსოვილი-ცხვირსახოცი, ერთჯერადი ხელსახოცი (უკიდურეს შემთხვევაში ცხვირ-პირზე მოხრილი იდაყვი მიიფარონ) ან გამოიყენონ ნიღაბი
- ✔ ერთჯერადი ნიღბის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც პაციენტი მოძრაობს შენობაში
- ✔ მიეცით სწორი რესპირაციულ-ჰიგიენური ქცევის მაგალითი პაციენტს, ვიზიტორსა თუ კოლეგას ხველის ეტიკეტის დაცვაში

- ✔ ტბ საეჭვო და ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტს მიაწოდეთ ერთჯერადი ჰიგიენური საწმენდები და ნიღბები
- ✔ რეგულარულად შეახსენეთ პაციენტებს, რომ დაიცვან დაწესებულების რესპირაციული ჰიგიენის წესები
- ✔ შეამცირეთ ტუბერკულოზზე საეჭვო ან ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების დაყოვნება სამედიცინო დაწესებულებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა ჰოსპიტალიზაციის აუცილებელ ჩვენებას წარმოადგენს



დაწესებულებაში პაციენტის დაყოვნების შემცირება ამცირებს ტუბერკულოზის გადაცემის რისკს

ამისათვის

ა) უზრუნველყავით ტბ საეჭვო ან დაავადებული პაციენტებისთვის სამედიცინო სერვისის ურიგოდ მიწოდება

ბ) შეამცირეთ ტბ საეჭვო ან და დაავადებული პაციენტის ლოდინისა და საკონსულტაციო დრო

გ) არ მოახდინოთ ტბ საეჭვო ან დაავადებული პაციენტის ჰოსპიტალიზაცია აბსოლუტური აუცილებლობის გარეშე

თუ თქვენს სამედიცინო დაწესებულებაში გამოიყენება ბუნებრივი ვენტილაცია (ანუ გარემოდან სუფთა ჰაერის შემოდინების უზრუნველსაყოფად გამოიყენება ღია კარებები, ფანჯრები და სხვა ღიობები. პროპელერიანი ვენტილატორებიც შეიძლება ამ ტიპის ვენტილაციაში ვიგულისხმოთ), დაიცავით შემდეგი წესები:

- ✔ ტუბერკულოზზე საეჭვო პირი განათავსეთ ჰაერის ნაკადის გადინებასთან ახლოს
- ✔ ჯანდაცვის მუშაკი უნდა იჯდეს სუფთა ჰაერის შემოდინების წყაროსთან, ხოლო პაციენტი კი – ჰაერის გარეთ გადინების წყაროსთან
- ✔ ამ პრინციპის დაცვა თავიდან აგვარიდებს ტუბერკულოზის მიმართ ექსპოზიციას, მაგალითად, პაციენტის კონსულტირების პროცესში

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ტუბერკულოზის
პრევენციის
პროექტი

ჯანმრთელობის კვლევის კავშირი
HEALTH RESEARCH UNION

საქართველო, 0177, თბილისი, ნუცუბიძის ქ.8
www.hru.ge
ელ-ფოსტა: info@hru.ge
ტელ: 2144447